საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის:
ა) „ყ.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ.ე) „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საპენსიო კომპანია;“;

ბ) „ყ.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ.ვ) „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული ავტორიზებული საინვესტიციო კომპანია;“;

გ) „ყ.ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ.ვ^{1}“ ქვეპუნქტი:

„ყ.ვ^{1}) „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია, რომელიც „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მართავს საპენსიო სქემას;“.

მუხლი 2

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

28 ივნისი 2023 წ.

N3345-XIმს-Xმპ